ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტი ,,გ.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერია წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე" განსახილველად.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი - ვლადიმერ გოგიბერიძე

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში

ჩოხატაურის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური წარმოგიდგენთ 2020 წელში გაწეული მუშაოების შესახებ ანგარიშს.

შესყიდვების სამსახური თავის უფლება მოვალეობას განახორციელებს 4 საშტატო ერთეულით, სამსახურის უფროსი და 3 სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში და ერთი შტატგარეშე სპეციალისტის საშუალებით. ყველა სპეციალისტი კარგად ართმევს თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას, მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა იმ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომელიც აღნიშნულმა სამსახურმა შეასრულა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში და საქართველოს მთავრობის დადგენილებებში, რომლებიც ეხება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას განხორციელებული ცვლილებების გამო. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსაძიებელი და ელექტრონული სისტემაში განსათავსებელი დოკუმენტების მოცულობა, ისე რომ არ შეიცვალა დასამუშავებელი და სისტემაში განსათავსებელი დოკუმენტაციის ვადები, რაც მოითხოვს, პატარა დროში დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებას. მოვიყვან მაგალითს: უნდა შემუშავდეს სატენდერო დოკუმენტაცია, გადაეგზავნოს თანხმობისავის ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გადაიგზავნოს ასევე განსახორციელებელი შესყიდვის დოკუმენტაციის დასაბუთება, პასუხები უნდა გაეცეს სამინისტროდან დასმულ შეკითხვებს. ყოველივე ამის შემდეგ ვღებულობთ თანხმობას და შემდეგ ვიწყებთ შესყიდვის განხორციელებას. მთავრობის დადგენილების მიხედვით თითეულ კოდზე უნდა ვაწარმოოთ შესაბამის სამინისტროსთან ან შესყიდვების სააგენტოსთან მიუხედავად იმისა შესყიდვა ხდება ადგილობრივი თუ სახელმწიფო ბიუჯეტით შაბლონური დოკუმენტების გაცვლა. ამას ემატება სისტემაში ხელშეკრულების დადებამდე გაცვლითი დოკუმენტის, სატენდერო დოკუმენტაცია, მიღება ჩაბარების აქტები, კორექტირებებისა და შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტების დამუშავება და სისტემაში განთავსება. ყოველივე ეს ხდება დიდი შრომის და არანორმირებული სამუშაო დროის ხარჯზე, რაც სპეიალისტებისაგან დაუღალავ შრომას მოითხოვს, რომ ყველა სამუშაო კანონით გათვალისწინებულ ვადებში შესრულდეს. მიუხედავად ამისა შესყიდვების სამსახური წარმატებით ართმევს თავს სახელმწიფო შესყიდვების კანონითა და სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ მოვალეობის შესრულებას, რაც გამოიხატება სახელმწიფო თანხების რაციონალურად ხარჯვაში, შესყიდვების კონკურენტუნარიანი და არადისკრიმინაციულ გარემოში განხორციელებაში და წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოების შეუფერხებლად მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

მიუხედავდ სამსახურეობრივი დატვირთვისა სამსახურის სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ კომისიების შემადგენლობაში, სადაც დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება უწევთ და უზრუნველყოფენ კომისიების მუშაობას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად.

სამსახური თავის მუშაობაში ითვალისწინებდა რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის და დებულებით გათვალისწინებულ პრინციპებს, მუნიციპალიტეტი 2020 წელში

შესყიდვებს ახორციელებდა რაციონალური ხარჯვის, არადისკრიმინაციული მიდგომის, კონკურენტუნარიან გარემოსა და მონეტარული ზღვრების მკაცრი დაცვით.

2020 წელს შესყიდვების განხორციელების მიზნით შემუშავებული იქნა 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რომელიც შედგენილი იქნა 2020 წელში განსახორციელებელი შესყიდვების შესაბამისად, რომელშიც ასახულია ყველა ის თანხა, რაც სახელმწიფო შესყიდვების კუთხით იყო გასახარჯი. გეგმა კანონის შესაბამისად 2019 წლის 20 ნოემბრამდე იქნა შედგენილი და სისტემაში განთავსებული ბიუჯეტის წინასწარი პარამეტრების შესაბამისად. გეგმის დაზუსტება და კორექტირება ხორციელდებოდა ბიუჯეტის დამტკიცების დაზუსტების და მერის ბრძანებით გამოყოფილი თანხების შესაბამისად.

სამსახური ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციიდან და საქართველოს მთავრობის დადგენილებიდან გამომდინარე შესყიდვებზე ეს იქნება ადგილობრივი თუ სახელმწიფო თანხები, აწარმოებს ფასთა მოკვლევას, რაც ასევე დიდ ენერგიასა და დიდი მოცულობის დოკუმენტაციის დამუშავებას მოითხოვს პრაქტიკულად სამსახურის სპეციალსტებს არასამუშაო საათებში უწევთ მუშაობა. მაგ: 2020 წელში ფასთა გამოკვლევის მიზნით დამუშავდა და გადაიგზავნა და სისტემაში აიტვირთა 267 დოკუმენტაცია, რომელიც მოცულობით 16000 ფურცელს მოიცავს.

2020 წელში ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 76 3006.46 ლარის შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტით 9 152 018.15 ლარის შესყიდვა და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტით - 60 000 ლარის შესყიდვა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1573 განკარგულებით (2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) გამოყოფილი იყო - 279157 ლარი, გაფორმდა 1 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის N551 განკარგულებით (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) გამოყოფილი თანხაა - 571500 ლარი, ელექტრონული ტენდერით მიღებული ეკონომია - 24017 ლარი. აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა - 1 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებით (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ბოლო დაზუსტებით გამოეყო - 4601383 ლარი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერების შედეგად გამოთავისუფლებული თანხა შეადგენს - 459562 ლარს. აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 31 ხელშეკრულება, საიდანაც 4 პროექტი გარდამავალია და 2021 წელში მოხდება დასრულება (664044 ლარი).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით (ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს სკოლების რეაბილიტაციაზე გამოეყო - 774000 ლარი

ლარი, რომელზეც გაფორმდა - 7 ხელშეკრულება, რომელთაგან 3 გაფორმებული იქნა ელექტრონული ტენდერის საშულებით (ტენდერით გამოთავისუფლებული თანხა შეადგენს - 69974 ლარს), ხოლო 4 ხელშეკრულება გაფორმდა გამარტივებული შესყიდვით საშუალებით გადაუდებელი აუცილებლობით.

აღნიშნული განკარგულებით მოსწავლეთა გადაყვანაზე - ტრანსპორტირებაზე გამოიყო - 401383 ლარი, რომელზეც გაფორმდა 1 ხელშეკრულება (კონსოლიდირებული ტენდერი).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით ჯამში გამოყოფილ 1175383 ლარზე გაფორმდა - 8 ხელშეკრულება.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტის ფარგლებში (60000 ლარი) განხორციელდა 1 პროექტი და ფაქტიურად გაფორმებული იქნა 1 ხელშეკრულება თანადაფინანსებით (გრანტით მიღებული თანხა - 89%, ადგილობრივი ბიუჯეტი - 11%), ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამოტავისუფლებული თანხა შეადგენს - 1420 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 730000 ლარი. ბაზრის მოკვლევის შედეგად პირველ ეტაპზე გაფორმდა 29 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ბაზრის მოკვლევის შედეგად მიღებული ეკონიით (93020,70 ლარი) შემდგომ ეტაპზე გაფორმდა 22 ხელშეკრულება. აღნიშნული განკარგულებით სულ გაფორმდა 51 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს სულ გამოეყო - 1 300 000 ლარი. პირველ ეტაპზე გამოყოფილი 700 000 ლარით ელექტრონული ტენდერის საშულებით განხორციელდა 11 ხელშეკრულების გაფორმება. ტენდერით მიღებული ეკონომიით - 98541 ლარით განხორციელებული იქნა 5 ელექტრონული ტენდერი, შესაბამისად გაფორმდა 5 ხელშეკრულება.

ზემოთაღნიშნული განკარგულებით მეორე ეტაპზე გამოიყო 600 000 ლარი და გაფორმდა - 15 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით სულ გაფორმებული იქნა 31 ხელშეკრულება.

სულ გაფორმებული იქნა 251 ხელშეკრულება, გამარტივებული შესყიდვით 163 ხელშეკრულება, მათ შორის კონსოლიდირებული ტენდერით - 14 შესყიდვა, ელექტრონული ტენდერით - 88.

2020 წელში სულ ჩატარებული იქნა 100 ელექტრონული ტენდერი, მათ შორის: არ შედგა 2, უარყოფითი შედეგით დასრულდა - 2, შეწყვეტილი იქნა - 8 ელექტრონული ტენდერი.

შესყიდვას ახორციელებდა მერის ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისია და აპარატი. კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია 5 კაცი, ხოლო აპარატი 4 კაცის შემადგენლობით.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გაუსაჩივრებია არც ერთ მიმწოდებელს. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყო სამართლიანი და არადისკრიმინაციული.

სულ ჩატარებულ იქნა 250 კომისიის სხდომა, განხილული იქნა 1250 საკითხი.

ტენდერში მონაწილეთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 2.57 მონაწილე.

შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას და მიღება ჩაბარებას ახორციელებდა მერის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით.

ყველა სამუშაოს, რომლის სახელშეკრულებო თანხა 50000 ლარზე ზევით ზედამხედველობას უწევდა საზედამხედველო ორგანიზაცია შ.პ.ს ,,ზაისი და კომპანია". ყველა შესასრულებელ სამუშაოებზე ჩატარებულია ექსპერტიზა და შედგენილია საექსპერტო დასკვნები. ექსპერტიზის დასკვნები წარმოდგენილია აკრედიტირებული საექსპერტო ორგანიზაციების მიერ. ინსპექტირების ჯგუფმა 2020 წელში 25 მიმწოდებლებს დააკისრა პირგასამტეხლო 21636.08 ლარის ოდენობით. დღეის მდგომაეობით დასრულებულია ყველა ხელშეკრულება, გარდა მრავალწლიანი შესყიდვის ხელშეკრულებისა.

სამსახური თავისი სპეციალისტებით მონაწილეობს სხვადასხვა კომისიების მუშაობაში, ვთანამშრომლობთ საკრებულოს კომისიებთან და დეპუტატებთან. სამსახური იცავს კანონით დადგენილ საჯარო ინფორმაციას გაცემის ვადებს. დროულად ვაწვდით ადმინისტრაციული სამსახურის მეშვეობით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას პირებსა და ორგანიზაციებს. კონსულტაიებს ვუწევთ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებსა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კუთხით. ჩვენი მოსაზრებები წარედგინა ინფრასტრუქტურის სამინისტროს და შესყიდვების სააგენტოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონმდებლობის დახვეწის კუთხით. შესყიდვების განხორციელებისას სამსახურის მიერ გათვალისწინებული იქნა ზემდგომი ორგანიზაციების შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია.

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ვ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, 1 თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა №4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: ვლადიმერ გოგიბერიძე

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე - განკარგულების პროექტის შესახებ

განკარგულების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე“ - შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ვ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც არაუგვიანეს თებერვლისა საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*